ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 30 ნოემბრის სხდომის

**ოქმი # 11**

სხდომას ესწრებოდა: სიითი შემადგენლობის 35 წევრიდან - 27

**დღის წესრიგი:**

1. ბაკალავრიატის ანკეტა კითხვარის დამტკიცება
   მომხსენებელი: ს. დუნდუა
2. საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულების ხელმძღვანელის ფიქრია ასანიშვილის განცხადება
   მომხსენებელი: ს. დუნდუა
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევენების დანიშვნა
   მომხსენებელი: ს. დუნდუა
4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევენებზე ასაკობრივი ზღვარის მოხსნა
   მომხსენებელი: ს. დუნდუა
5. მიმდინარე საკითხები

**მოისმინეს:** 1. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ დასამტკიცებელია ბაკალავრიატის ანკეტა კითხვარი. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ფაკულტეტზე ბაკალავრიატის სტუდენტთა მისაღები კონტინგენტი რჩება იგივე, რაც 2023 წელს - 530. რიგმა მიმართულებებმა გამოთქვეს სურვილი, ინგლისურთან ერთად მიღება განახორციელონ ფრანგული და გერმანული ენებითაც.
**აზრი გამოთქვეს:** პროფესორებმა: გ. გოგსაძემ, ზ. დავითაშვილმა
**დაადგინეს:** მიღებულ იქნას ბაკალავრიატის ანკეტა კითხვარი და დასამტკიცებლად გადაეგზავნოს აკადემიურ საბჭოს.

**მოისმინეს:** 2 ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საბჭოს სახელზე შემოსულია საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელის, ფიქრია ასანიშვილის წერილი. როგორც ფ. ასანიშვილი აღნიშნავს, მიმართულების სხდომაზე სამაგისტრო პროგრამის „ევრაზიის და კავკასიის კვლევები" კოორდინატორად დროებით არჩეულ იქნა ფიქრია ასანიშვილი.
**აზრი გამოთქვეს:** ზ. დავითაშვილმა
**დაადგინეს:** სამაგისტრო პროგრამის „ევრაზიის და კავკასიის კვლევები" კოორდინატორად დროებით დამტკიცებულ იქნეს ასოცირებული პროფესორი ფიქრია ასანიშვილი.

**მოისმინეს:** 3. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ 2023 წლის 16 ნოემბერს ჩატარებულ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევენებზე კანდიდატების მიერ ხმათა საკმარისი რაოდენობის ვერმოგროვების გამო ( ფაკულტეტის საბჭოს ოქმი #10) საჭირო იყო

არჩევნების ხელახალი ჩატარებისთვის თარიღის განსაზღვრა. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ არჩევნები ჩატარდებოდა ფაკულტეტის საბჭოს მიერ 19 ოქტომბერს მიღებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების წესის თანახმად (ოქმი #9). ს. დუნდუამ შესთავაზა კოლეგებს, არჩევნების ჩატარების თარიღად განესაზღვრათ 21 დეკემბერი, ხოლო საბუთების მიღების ვადებად კი 11 დეკემბერი - 18 დეკემბრის 17:00 საათამდე პერიოდი.
**აზრი გამოთქვეს:** მ. შამილიშვილმა, მ. მაცაბერიძემ.
**დაადგინეს**: დამტკიცებულ იქნას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების წესი. არჩევნების ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 21 დეკემბერი.

არჩევნების ჩატარების ადგილი - თსუ VI კორპუსის დარბაზი ( #303 ).
ფაკულტეტის საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 15:00 სთ.
კენჭისყრის პერიოდი - 15:15 - 16:30 სთ.
არჩევნების ჩატარების ფორმა - ფარული კენჭისყრა. გამარჯვებულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც საბჭოს სხდომის კვორუმის შემთხვევაში დააგროვებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობას.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნებში კანდიდატად რეგისტრაცია შეუძლია ფაკულტეტის სრულ და ასოცირებულ პროფესორს.

**კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი საბუთების წარდგენა**

- განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
- ცნობა დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ;
- CV;
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განვითარების კონცეფცია;
- პირადობის მოწმობის ასლი.
- ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ.

კანდიდატთა საბუთების მიღება - 11 დეკემბრიდან 18 დეკემბრის ჩათვლით; ფაკულტეტის კანცელარიაში (თსუ VI კორპუსი, ოთახი #203 ), 10:00-17:00 სთ.

**მოისმინეს:** 4. ფაკულტეტის დეკანი საბჭოს წევრების წინაშე წარსდგა წინადადებით, მოეხსნათ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნებზე კანდიდატთათვის განსაზღვრული ასაკობრივი შეზღუდვა.
**აზრი გამოთქვეს:** გ. გოგსაძემ, ნ. ტალახაძემ.
**დაადგინეს**: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნებზე მოიხსნას კანდიდატთათვის განსაზღვრული ასაკობრივი შეზღუდვა.

**მოისმინეს:** 5. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მიმართა თხოვნით, წარმოედგინათ მიმდინარე საკითხები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
ა) ასოცირებულმა პროფესორმა, თეონა მატარაძემ გამოთქვა წუხილი იმის თაობაზე, რომ თსუ მეილის დრაივზე იზღუდებოდა მეხსიერების მოცულობა, რაც, რეალურად, საფრთხეს შეუქმნიდა ი-ლერნინგის პლატფორმაზე დიდი მოცულობის მქონე ფაილების ატვირთვას. აღნიშნულ თემაზე

მოსაზრებები გამოთქვეს მ. მაცაბერიძემ, ხ. მაისაშვილმა და სხვ. ს. დუნდუა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს დაპირდა, რომ მოცემულ საკითხს გააჟღერებდა თსუ შესაბამის სამსახურებთან.

ბ) ფაკულტეტის საბჭოს წევრმა სტუდენტებმა წარმოადგინეს მოთხოვნა ორკვირიანი შუალედურების პრინციპის შემოღების თაობაზე. მათი განცხადებით, სტუდენტებს ემოციურადაც და ფიზიკურადაც ძალიან უჭირთ ერთი კვირის მანძილზე 6 ან 7 გამოცდის ჩაბარება. სწორედ ამის გამო, ისინი მიმართავენ საბჭოს, რომ შემდეგ სხდომებზე იმსჯელონ და განიხილონ ორკვირიან შუალედურ გამოცდებზე გადასვლის შესაძლებლობა, მით უფრო, რომ ამის პრაქტიკა არსებობს იურიდულ და ეკონომიკის ფაკულტეტებზე. ამასთანავე, სტუდენტებმა აღნიშნული მოთხოვნა წერილობითი სახითაც წარმოადგინეს, რომელსაც ხელს აწერს ფაკულტეტის ასობით სტუდენტი.

გ) პროფესორმა მ. მაცაბერიძემ საბჭოს წევრებს მიმართა თხოვნით, გაეზიარებინათ საკუთარი მოსაზრებები პოლიტიკის მეცნიერების ფაკულტეტიდან ცალკე გამოყოფის შესაძლებლობის თაობაზე.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე სალომე დუნდუა

## სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

30.11.2023

ფაკულტეტის დეკანი

სალომე დუნდუა

**პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება**

მალხაზ მაცაბერიძე

ალექსანდრე კუხიანიძე

ზვიად აბაშიძე

თამარ ქარაია

**საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება**

თამარ დოლბაია

გიორგი გოგსაძე

რევაზ გაჩეჩილაძე

ვაჟა ლორთქიფანიძე

**საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება**

ზურაბ დავითაშვილი

ფიქრია ასანიშვილი

კონსტანტინე შუბითიძე

დავით მაცაბერიძე

**სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება**

იაგო კაჭკაჭიშვილი

ამირან ბერძენიშვილი

ნინო დურგლიშვილი

ნათელა ფარცხალაძე

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება

მარი წერეთელი

მანანა შამილიშვილი

ნანული ტალახაძე

ხათუნა მაისაშვილი

ნინო ჭალაგანიძე

ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულება

რევაზ ჯორბენაძე

ნოდარ ბელქანია

ზურაბ აბაშიძე

თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

იაკობ ორმოცაძე

ლუკა ტაბიძე

ნინა კარანაია

დიტო ბელქანია

ალექსანდრე ფასეიშვილი

მარიამ ჯეჯია

თამარ ზიბიჩაძე

კახა კუჭუხიძე

ალექსანდრე გაბაშვილი

| **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესავსები სპეციალური ანკეტა-კითხვარის ფორმა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის** (*გარდა* დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, საექთნო საქმის, სამეანო საქმის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის, ოკუპაციური თერაპიის, ფარმაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ქართულ ენაში მომზადების, სახელოვნებო-შემოქმედებითი, სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა) | დანართი №1 |
|---|---|
| უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კოდი: | 001 |
| უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება: | სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| ფაქტიური მისამართი და ტელეფონი | 0179 თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი, 1, ტელ: +995 32 222 02 41 |
| ვებგვერდი | www.tsu.ge |
| ელ.ფოსტა | chancellery@tsu.ge |
| საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ.ფოსტა) | შოთა ფოთოლაშვილი, ტელ.: 599495453, ელ. ფოსტა: |
| ინფორმაცია წლიური გადასახადის შესაძლო ცვლილების შესახებ | წლიური გადასახადის ცვლილება არ იგეგმება |

| | პროგრამის დასახელება | მისანიჭებელი კვალიფიკაცია | აკრედიტებულია თუ არა | აკრედიტაციის ვადა | დაფინანსება | სწავლების ენა | კრედიტების რაოდ. | წლიური გადასახადი | ადგილების რაოდ. | ქართ. ენა და ლიტ. | უცხოური ენა | მათემატიკა | ისტორია | ზოგადი უნარები | გეოგრაფია | ლიტერატურა | ფიზიკა | ქიმია | ბიოლოგია | სამოქალაქო განათლება | სახ. და გამოყენებითი ხელოვნება | პრიორიტეტები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | |
| | | | | | | შენიშვნა | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | ა) სოციოლოგია ბ) სოციალური მუშაობა | ა) სოციოლოგიის ბაკალავრი 2) სოციალური მუშაობის ბაკალავრი | აკრედიტებული | 31.12.2028 | ფინანსდება | ქართული | 240 | 2250 | 140 | 5 | 5 | 2 | 2 | | | | | | | | | 1-2-4/3 |
| | | | | | | კოეფიციენტები | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | ადგილების კვოტა მათემატიკის მიხედვით | | | | | | 25 | | | | | | | | | | |
| | | | | | | ადგილების კვოტა ისტორიის მიხედვით | | | | | | | 115 | | | | | | | | | |
| | | | | | | შენიშვნა | | | | უცხო ენა - ინგლისური, გერმანული, ფრანგული | | | | | | | | | | | | |
| 2 | მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფია | საზოგადოებრივი გეოგრაფიის ბაკალავრი | აკრედიტებული | 31.12.2028 | ფინანსდება | ქართული | 240 | 2250 | 50 | 5 | 5 | 2 | 2 | | 2 | | | | | | | 1-2-6/4/3 |
| | | | | | | კოეფიციენტები | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | ადგილების კვოტა მათემატიკის მიხედვით | | | | | | 6 | | | | | | | | | | |
| | | | | | | ადგილების კვოტა ისტორიის მიხედვით | | | | | | | 18 | | | | | | | | | |
| | | | | | | ადგილების კვოტა გეოგრაფიის მიხედვით | | | | | | | | | 26 | | | | | | | |
| | | | | | | შენიშვნა | | | | უცხო ენად აუცილებელია მხოლოდ ინგლისური ენის ჩაბარება | | | | | | | | | | | | |
| 3 | პოლიტიკის მეცნიერება | პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი | აკრედიტებული | 31.12.2028 | ფინანსდება | ქართული | 240 | 2250 | 130 | 3 | 3 | 6 | 6 | | 6 | | | | | 6 | | 1-2-4/6/11/3 |
| | | | | | | კოეფიციენტები | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | ადგილების კვოტა მათემატიკის მიხედვით | | | | | | 15 | | | | | | | | | | |
| | | | | | | ადგილების კვოტა ისტორიის მიხედვით | | | | | | | 65 | | | | | | | | | |
| | | | | | | ადგილების კვოტა გეოგრაფიის მიხედვით | | | | | | | | | 20 | | | | | | | |
| | | | | | | ადგილების კვოტა სამოქალაქო | | | | | | | | | | | | | | 30 | | |
| | | | | | | შენიშვნა | | | | უცხო ენა - ინგლისური, გერმანული, ფრანგული | | | | | | | | | | | | |
| 4 | საერთაშორისო ურთიერთობები | საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი | აკრედიტებული | 31.12.2028 | ფინანსდება | ქართული | 240 | 2250 | 80 | 5 | 5 | 2 | 2 | | 2 | | | | | 2 | | 1-2-4/6/3/11 |
| | | | | | | კოეფიციენტები | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | ადგილების კვოტა მათემატიკის მიხედვით | | | | | | 8 | | | | | | | | | | |
| | | | | | | ადგილების კვოტა ისტორიის მიხედვით | | | | | | | 32 | | | | | | | | | |
| | | | | | | ადგილების კვოტა გეოგრაფიის მიხედვით | | | | | | | | | 32 | | | | | | | |
| | | | | | | ადგილების კვოტა სამოქალაქო | | | | | | | | | | | | | | 8 | | |
| | | | | | | შენიშვნა | | | | უცხო ენად აუცილებელია მხოლოდ ინგლისური ენის ჩაბარება | | | | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | **ჟურნალისტიკა** | ჟურნალისტიკის ბაკალავრი | აკრედიტებული | 01.07.2028 | ფინანსდება | ქართული | 240 | 2250 | 120 | 5 | 5 | 2 | 2 | | 2 | 2 | | | | 2 | | 1-2-4/7/6/11/3 |
| | | | | | | კოეფიციენტები | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | ადგილების კვოტა მათემატიკის მიხედვით | | | | | | 12 | | | | | | | | | | |
| | | | | | | ადგილების კვოტა ისტორიის მიხედვით | | | | | | | 64 | | | | | | | | | |
| | | | | | | ადგილების კვოტა გეოგრაფიის მიხედვით | | | | | | | | | 12 | | | | | | | |
| | | | | | | ადგილების კვოტა ლიტერატურის მიხედვით | | | | | | | | | | 20 | | | | | | |
| | | | | | | ადგილების კვოტა სამოქალაქო | | | | | | | | | | | | | | 12 | | |
| | | | | | | შენიშვნა | | | | უცხო ენა - ინგლისური, გერმანული, ფრანგული | | | | | | | | | | | | |
| 6 | **ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია** | სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი | აკრედიტებული | 01.07.2028 | ფინანსდება | ქართული | 240 | 2250 | 10 | 5 | 5 | 2 | 2 | | 2 | 2 | | | | 2 | | 1-2-4/7/6/11/3 |
| | | | | | | კოეფიციენტები | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | ადგილების კვოტა მათემატიკის მიხედვით | | | | | | 1 | | | | | | | | | | |
| | | | | | | ადგილების კვოტა ისტორიის მიხედვით | | | | | | | 5 | | | | | | | | | |
| | | | | | | ადგილების კვოტა გეოგრაფიის მიხედვით | | | | | | | | | 1 | | | | | | | |
| | | | | | | ადგილების კვოტა ლიტერატურის მიხედვით | | | | | | | | | | 2 | | | | | | |
| | | | | | | ადგილების კვოტა სამოქალაქო | | | | | | | | | | | | | | 1 | | |
| | | | | | | შენიშვნა | | | | უცხო ენა - ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული | | | | | | | | | | | | |

| | | |
|---|---|---|
| **ანკეტის შევსების თარიღი** | **12.12.2023** | **ბ.ა. რექტორი** |

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
დეკანს ქალბატონ სალომე დუნდუას

ამავე ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების
ასოცირებული პროფესორის ფიქრია ასანიშვილის

განცხადება

ქალბატონო სალომე,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის ორშაბათს, 26 ნოემბერს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტში შედგა შეხვედრა სამაგისტრო პროგრამის „ევრაზიისა და კავკასიის კვლევების“ ხელმძღვანელობის საკითხთან დაკავშირებით. სანამ საბოლოოდ გადაწყდება აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის არსებობის საკითხი,საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებამ დროებით ამირჩია აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორად. შეხვედრის ოქმი თან ერთვის.

პატივისცემით,

ფიქრია ასანიშვილი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი

28.. 11. 2023

5953/30-2
28 11 023

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების შეხვედრის სხდომის ოქმი

**ოქმი N1**

მიმდინარე წლის 26 ნოემბერს საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელის ინიციატივით მოეწყო მიმართულების აკადემიური პერსონალის შეხვედრა.

**დღის წესრიგი- ევრაზიისა და კავკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის საკითხი.**

სამაგისტრო პროგრამის ევრაზიისა და კავკასიის კვლევების ხელმძღვანელმა, ასოცირებულმა პროფესორმა დავით მაცაბერიძემ შემოდგომის სემესტრში შემოიტანა განცხადება ფაკულტეტის დეკანის სახელზე, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობის დატოვების თაობაზე. შედეგად პროგრამა დარჩა ხელმძღვანელის გარეშე. მიმართულებამ მიიღო გადაწყვეტილება, სანამ აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის სტატუსი დაზუსტდება, ან ახალი ხელმძღვანელი აირჩევა,სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორად დროებით არჩეულ იქნეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი ფიქრია ასანიშვილი

სხდომის თავმჯდომარე: ასოცირებული პროფესორი ფიქრია ასანიშვილი